



საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი

ბ რ ძ ა ნ მ ბ ა

№ 11

„ 16 „ იანვარი 2009 წ.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და კომპანია „ინტერ რაო ექს“-ს შორის 2008 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ

მიღებულ იქნეს მხედველობაში კომპანია „ინტერ რაო ექს“-ის 2009 წლის 16 იანვრის წერილში მოყვანილი გარემოებები და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27² მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2006 წლის 1 აპრილის №71 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

გბრძანებ:

1. მიჩნეულ იქნეს კომერციულ საიდუმლოებად საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და კომპანია „ინტერ რაო ექს“-ს შორის 2008 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმი.

2. დაევალოს იურიდიული დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველოს უზრუნველყოს ზემოაღნიშნული მემორანდუმის საიდუმლოების დასაცავად შესაბამისი ზომების მიღება მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

მარიამ ვაღრიშვილი

მინისტრის მოადგილის შემსრულებელი